27-29 თებერვალს, თბილისში, სასტუმრო Courtyard Marriott-ში, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, PEMPAL-ის პროგრამის ფარგლებში და საქართველოს სახელმწიფო ხაზინის ხელშეწყობით გაიმართება სემინარი, თემაზე - „სახაზინო სამსახურში საჯარო ფინანსების მართვის რეფორმასთან დაკავშირებული პროგრესი და საგარეო დაფინანსების აღრიცხვასთან დაკავშირებული საკითხები“. ღონისძიებაში მონაწილეობას იღებენ სახელმწიფო საფინანსო სფეროს წარმომადგენლები ცენტრალური აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის 10 ქვეყნიდან.

სემინარის ძირითადი მიზანია საქართველოში სახელმწიფო ფინანსების მართვის სფეროში სახელმწიფო ხაზინაში გატარებული რეფორმის გაცნობა. მონაწილე ქვეყნების წარმომადგენელთა შორის დიდ ინტერესს იწვევს სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა და მისი ფუნქციონირების პრინციპები, სახელწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული სისტემის PFMS-ის დანერგვასთან დაკავშირებით მიმდინარე სამუშაოები, სახელმწიფო ხაზინის მიერ შემუშავებული ხაზინის მთავარი წიგნის კონცეფცია, რომლის ამოქმედებაც იგეგმება 2013 წლიდან და ასევე, უცხოელი დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების მართვასთან და აღრიცხვასთან დაკავშირებული საკითხები, რაშიც რეგიონის ქვეყნებს შორის დანერგილი პრაქტიკის გათვალისწინებით საქართველო ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა.

განსაკუთრებულ ინტერესს PEMPAL-ის წევრი ქვეყნების წარმომადგენლებში იწვევს საქართველოს სახელმწიფო ხაზინაში დანერგილი ელექტრონული მომსახურების სისტემა, რომლის ანალოგიც ყოფილ საბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში პრაქტიკულად არ არის.

PEMPAL - წარმოადგენს მსოფლიო ბანკის ინიციატივით მოქმედი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს საჯარო ფინანსების მართვის სფეროში მოღვაწე მოხელეთა შორის ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება-გაღრმავებას და მომავალი თანამშრომლობის განმტკიცებას. პროგრამის სპონსორებს შორის, აგრეთვე არიან: აშშ-ს სახელმწიფო ორგანიზაცია (OECD), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), შვეიცარიის ეკონომიკურ საკითხთა სახელმწიფო სამდივნო (SECO) დ სხვა.

სემინარის დღის წესრიგით გათვალისწინებულია ლილოს გაფორმების ეკონომიკური ზონის (გეზის) მონახულება.